



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 15

2020 წლის 05 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის
კონკურსის გამოცხადების და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების
შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N271741, 04.03.2020) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის კონკურსის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში წარსადგენი პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).


ზვიად გაბისონია

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი



შეთანხმებულია:


ადმინისტრაციული და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი



საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ/შ
ლელა ლუდუშაური



გენერალური დირექტორის მოადგილე ჯაბა სამუშია



საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის
კონკურსის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში ფონდი) აწესებს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიას ქართველოლოგიის მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის.
2. ფონდის მიერ გამოცხადებული „საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის კონკურსის“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ქართველოლოგიის პოპულარიზაცია და საზღვარგარეთ მოღვაწე უცხოეთის მოქალაქე მეცნიერთა წახალისება ქართველოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის.
3. პრემია გაიცემა ერთჯერადად, კონკურსის წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ბ) გენერალური დირექტორი – სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი;
- გ) საკონკურსო განაცხადი - პრემიის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;
- დ) მეცნიერი - ქართველოლოგიის მიმართულებით საზღვარგარეთ მოღვაწე, უცხოეთის მოქალაქე პირი, რომელსაც დაკავებული აქვს აკადემიური თანამდებობა და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ქართველოლოგიის მიმართულებით საზღვარგარეთ მოღვაწე, უცხოეთის მოქალაქე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ეწევა სამეცნიერო საქმიანობას შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებაში;
- ე) შეფასების კრიტერიუმები – ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად ამ წესით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმები;
- ვ) პრემია – კონკურსის შედეგად მოპოვებული ფულადი პრემია;
- ზ) საკონკურსო კომისია – კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი ორგანო.

მუხლი 3. პრემიის კატეგორია და ფინანსური რაოდენობა

1. კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი პრემიით მეცნიერის დაჯილდოებას. ფონდის მიერ დაწესებული პრემია გაიცემა ქართველოლოგიის მიმართულებით, რომელიც მოიცავს